ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

ოქმი № 13

ქ. თბილისი, 20 ივლისი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხოხობაიამ
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 26 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

2. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრაამის დოქტორანტ *ქეთევან ნადირაშვილის* სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ;

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/

3. *ეკონომიკის* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ბექა ბაიაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის *„წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე)* დაცვის კომისიის, შემფასებლების და სააპელაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/

4. *მიმდინარე საკითხები*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, ასოცირებული პროფესორ მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 20 ივლისის #13 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

1.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაციით ხარისხის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (N 16267/29 20.07.2026), რომლითაც ითხოვს შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომ მიანიჭოთ აკადემიური ხარისხი ***აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში*** 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო პროგრამის კურსდმთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით:			
1	თამაზაშვილი	ილარიონ	01027046462
დიპლომი ჩვეულებრივი:			
1	ბუწაშვილი	შალვა	01027075594
2	ჟღენტი	სალომე	01224092640
3	ცხადაძე	ვიტალი	18001006108

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.1. მიენიჭოთ აკადემიური ხარისხი *აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში* 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით:			
1	თამაზაშვილი	ილარიონ	01027046462
დიპლომი ჩვეულებრივი:			
1	ბუწაშვილი	შალვა	01027075594
2	ჟღენტი	სალომე	01224092640
3	ცხადაძე	ვიტალი	18001006108

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

1.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაციით შემოსულია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის თამარ სულუხიას წერილი (N 15898/29 15.07.2026), რომლის შინაარსის მიხედვითაც 2026 წლის 14 ივლისს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიურ საქმეთა კომიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) დაასრულა ერთმა სტუდენტმა. იგი ითხოვს შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომ მიანიჭოთ: ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2025-26 სასწავლო წლის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის კურსდამთავრებულს:
ბაკალავრიატი - დიპლომი ჩვეულებრივი

სახელი	გვარი	პ/ნ
გიორგი	საყვარელიძე	1800107031

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.2. მიენიჭოს *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი* 2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საერთაშრისო სკოლის (ISET)

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულს:
ბაკალავრიატი - დიპლომი ჩვეულებრივი

სახელი	გვარი	პ/ნ
გიორგი	საყვარელიძე	1800107031

მოისმინეს: **2.** ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ქეთევან ნადირაშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საკითხი, რომლის თანახმადაც საბჭომ უნდა იმსჯელოს დოქტორანტ **ქეთევან ნადირაშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ. კერძოდ კი სადისერტაციო თემის დასახელება „რისკების მართვის აქტუალურობის საკითხები ქართულ საჯარო სექტორში", *შეიცვალოს - „რისკების მართვის სიმწიფის მოდელი საქართველოს საჯარო სექტორისთვის".*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს პროფესორმა დ. ნარმანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საკვლევი პრობლემის დასახელების დაზუსტებასთან, პროფესორმა ი. კოვზანაძემ.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **2. დამტკიცდეს** ცვლილება და დოქტორანტ **ქეთევან ნადირაშვილის** სადისერტაციო თემის დასახელება „რისკების მართვის აქტუალურობის საკითხები ქართულ საჯარო სექტორში", *შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „რისკების მართვის სიმწიფის მოდელი საქართველოს საჯარო სექტორისთვის".*

მოისმინეს: **3.1.** *ეკონომიკის* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ბექა ბაიაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის *„წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე)* შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბექა ბაიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურები:

1) თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნ. კაკულია
2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალის „ეკონომიკა" მთავარი რედაქტორი რ. შენგელია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა პროფესორმა თ. შენგელიამ.
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის ბ. ბაიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის **შემფასებლები:**

1. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნ. კაკულია;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალის „ეკონომიკა" მთავარი რედაქტორი რ. შენგელია;

მოისმინეს: 3.2. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ბექა ბაიაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის *„წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე)* დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბექა ბაიაშვილის **სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა:**

1. პროფესორი ე. ხარაიშვილი
2. პროფესორი ე. მექვაბიშვილი
3. პროფესორი რ. გველესიანი
4. ასოცირებული პროფესორი ი. გოგორიშვილი
5. პროფესორი ნ. გრიგოლაია *(ალტე უნივერსიტეტი)*
6. ასოცირებული პროფესორი ნ. დამენია
7. ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე
9. ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

11. ასისტენტ-პროფესორი თ. ლაზარიაშვილი
12. ასისტენტ-პროფესორი ნ. ლობჟანიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოოქტორანტის **ბექა ბაიაშვილის** სადისერტაციო საბჭოს დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: *3.3. ეკონომიკის* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ბექა ბაიაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის *„წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე)* სააპელაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბექა ბაიაშვილის **სააპელაციო კომისიის შემადგენლობა:**

1. პროფესორი თ. ბერიძე
2. ასოცირებული პროფესორი ნ. მიქიაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი მ. ნაცვალაძე
4. ასოცირებული პროფესორი მ. ჩიქობავა
5. ასისტენტ-პროფესორი მ. ტაბატაძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 26
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის **ბექა ბაიაშვილის** სააპელაციო კომისია წარმოდგენილი სახით.

მიმდინარე საკითხები:

საბჭოს წევრებს მიმართა პროფესორმა **ე. მექვაბიშვილმა.** მან აღნიშნა რომ ადგილი აქვს ფაკულტეტის პროფესორების მიმართ პროფესიონალიზმისა და ღირსების

შემლახველ მიმართვებს ადამიანისაგან, რომლის კომპეტენცია კითხვის ნიშნებს ბადებს. მან საბჭოს წევრებს გააცნო საკუთარი მოკვლევის შედეგები ერთ-ერთი კოლეგის სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველ მასალებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებს მიმართა აკადემიკოსმა **ა. სილაგაძემ.** მან აღნიშნა, რომ რომ ფაკულტეტის ვებ გვერდი განკუთვნილი უნდა იყოს აკადემიური ინფორმაციის გასავრცელებლად და არა ურთიერთანგარიშსწორებისათვის, აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ გამოხატა პატივისცემა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ, ამავდროულად აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წელიწადნახევრის წინანდელი მიმართვა, რომელიც უკავშირდებოდა კოლეგის მიერ შეურაცხმყოფელი მიმართვების გავრცელებას, დღემდე რეაგირების გარეშეა. დღესაც ვრცელდება შეურაცხმყოფელი წერილების გამოქვეყნება. მან აგრეთვე გამოთქვა საკუთარი პოზიცია ISET-თან დაკავშირებით. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გამოიყო კომისია და კომისიის გადაწყვეტილებით აუდიტის სამსახურს უნდა შეესწავლა ISET დაფინანსების საკითხი. მან ფაკულტეტის დეკანს მიმართა რომ მიაწოდოს ფაკულტეტის საბჭოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის დეკანმა ასოცირებულმა პროფესორმა მ. ხოხობაიამ აღნიშნა, რომ კომუნიკაციის საკითხები უაღრესად მნიშვნელოვანია და თქვა რომ ამ კონკრეტულ კითხვებთან მიმართებაში მისი მანდატის ფარგლებში შეეცდება ინფორმაციის მოპოვებას.

მან აღნიშნა, რომ კომუნიკაციის ფორმასთან დაკავშირებით ადამიანებს აქვთ გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის კორპორატიულ სივრცეში და ამ უფლებას ვერ შევზღუდავთ. მან გამოთქვა მზადყოფნა ფაკულტეტის საბჭოს სახელით დასმულ საკითხებზე რეაგირებასთან მიმართებაში.

აზრი გამოთქვა პროფესორმა დ. ნარმანიამ. მან მხარს დაუჭირა ბატონ ა. სილაგაძის მოსაზრებას. მისი მოსაზრებით მიუღებელია კოლეგების ლანძღვა, თავდასხმა და აღნიშნა, რომ ეს არაა ერთი ადამიანი, ესაა მართული ჯგუფი და აუცილებელია სამართლებრივად სწორად წარიმართოს მიდგომები ამასთან მიმართებაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხოხობაია**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**